

შემუშავებულია სასწავლო  
პროცესის სამსახურის მიერ  
დამტკიცებულია დირექტორის  
ბრძანებით № 69; 02. 10. 2017 წ

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“

ფარმაცევტის თანაშემწის სასერთიფიკატო პროგრამა

**1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ფარმაცევტის თანაშემწე

**2. პროგრამის მოცულობა:**

პროგრამა მოიცავს 40 კრედიტს, საიდანაც 31 კრედიტი ეთმობა ფარმაცევტული საქმის სპეციალური დისციპლინების თეორიულ სწავლებას, ხოლო 9 კრედიტი პრაქტიკას. პროგრამა გათვლილია 39 კვირაზე,

**3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

სკოლის საბაზო განათლება

**4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

- ფარმაციის დარგში კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება;
- პროგრამაში მონაწილეთათვის ძირითადი საერთაშორისო სამედიცინო-ფარმაცევტული სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნის მიცემა და პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
- ფარმაციის თეორიისა და მეთოდოლოგიის საბაზისო ცოდნის და უნარ-ჩვევების ათვისება,
- მოამზადოს ფარმაცევტის თანაშემწე, რომელსაც ექნება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და მომავალ პრიორიტეტებთან ეფექტური რეაგირების და ადაპტირების უნარი, შემღებს პროფესიულ საქმიანობას;
- განუვითაროს პროგრამაში მონაწილე პირს პროფესიული განვითარების და შემდგომი განათლების ინტერესი.

**5. სწავლის შედეგი:**

პროგრამის დასრულების შემდეგ იცის

- სუბსტანციების და სამკურნალო საშუალებების შემუშავების და ანალიზისთვის საჭირო აპარატურა-მანქანების კლასიფიკაცია გამოყენების წესები;
- მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველსაყოფად მარკეტინგის მეთოდების გამოყენება;
- პროფესიის ზნეობრივი და ეთიკური პრინციპები და სამართლებრივი ვალდებულებების საფუძვლები;
- აფთიაქის კლიენტებთან, კოლეგებთან, სამოგალოებასთან ურთიერთობის და ქცევის წესები;
- ჰუმანიტარული დისციპლინების საფუძვლები: ქართული სამედიცინო გერმინოლოგია; ლათინური ფარმაცევტული გერმინოლოგია, სოციალური ფარმაცია.
- კლინიკური დისციპლინების საფუძვლები: ფარმაკოლოგია;
- სპეციალური დისციპლინების საფუძვლები: ჰიგიენა-პრევენცია; ფარმაკოგნოზია; წამალთა ტექნოლოგია; ფარმაცევტული ქიმია; სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა;
- მენეჯერული დისციპლინების ციკლს: ფარმაცევტული ბიზნესის ორგანიზაცია და ეკონომიკა: მენეჯმენტი და მარკეტინგი ფარმაციაში;
- სამკურნალო პრეპარატები, მათი ფორმები, კლასიფიკაცია, ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა, ჩვენება და უკუჩვენება, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით დანიშნულებაზე, რეცეპტების წაკითხვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ შეუძლია:

- ავთიაქში მოქმედი ძირითადი უსაფრთხოების წესების დაცვა;
- რეცეპტის წაკითვა და გაანალიზება;
- ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული საქმიანობისას;
- ავთიაქში კლიენტების მომსახურება უფროსი ფარმაცევტის დახმარებით და უშუალო ხელმძღვანელობით;
- სამკურნალო საშუალებების კლასიფიცირება, შენახვა, დახარისხება;
- პირველადი ექიმამადელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- კოსმეტიკური და ვეტერინარული საშუალებების შესახებ ელემენტარული კონსულტაციის გაწევა;
- ავთიაქში გუნდური მუშაობის წესებისა და სამედიცინო ეთიკის ნორმების დაცვით მუშაობა.
- 

## 6. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

11. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, სასწავლებელში მოქმედი და დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**შეფასება უნდა ითვალისწინებდეს რამოდენიმე კომპონენტს:**

- 1) აქტიურობა-პრეზენტაცია 30 ქულა;
- 2) შუალედურ შეფასებას 30 ქულა;
- 3) დასკვნითი გამოცდის შეფასებას 40 ქულა.

## **7. სწავლების მეთოდები**

სალექციო მუშაობა მიმართულია პროგრამაში ჩართული პირისათვის თეორიული ცოდნის შეძენისაკენ ხოლო პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას და დამოუკიდებელი/პრაქტიკული მუშაობის ჩვევების გამომუშავებას. ლექციაზე ინტერაქტიული მუშაობისას, შესასწავლი თემის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დიალოგი და დისკუსიების გამართვა. პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები მოიცავს შესასწავლი მასალის გადმოცემას, შეძენილი ცოდნის გამოყენების და მისი ინტერპრეტაციის უნარის გამოვლენას, რისთვისაც ტარდება სემინარული პრეზენტაციები, სავარჯიშო სამუშაოები, გამოკითხვები და ტესტირება. ამასთან სწავლების აქტიური მეთოდებიდან გამოიყენება საქმიანი თამაშები და პროფესიული სიტუაციების მოდელირება,

## **8. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.**

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტში ჩართული ელექტრონული ტექნიკით, სასწავლო პრაქტიკასთვის განკუთვნილი მასალით და სხვა რესურსებით, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. პრაქტიკა ტარდება თეორიული კომპონენტის პარალელურად შპს ვანკას აფთიაქში, სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, პრაქტიკის ხელმძღვანელი: ლია ჭილაძე

## **9. დასაქმების სფერო:**

ფარმაცევტის თანაშემწის სასერთიფიკატო პროგრამის დასრულების შემდეგ პირი შესაძლოა დასაქმდეს აფთიაქებში, ვეტერინარულ აფთიაქებში, მწვანე აფთიაქებში, კოსმეტიკური საშუალებების კონსულტანტად, ფარმაცევტულ საწარმოებში.